ცნობის ფურცელი

№ 2188 კვირა, 22 ივნისი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2188

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირი მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ამ ნომერთან ხელის მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების" მე-129 №-რი.

3 მან. და 50 კ. ღირს ყოველდღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 ივლისიდან წლის დამლევამდე

უმთავრესი კანტორა დ. ზ. სარაჯიშვილისა ქ. ტფილისში აცხადებს, რომ

საუკეთესო ვენახების

კახურის ღვინის

შესანახად და დასაძველებლად, 1903 წლის 1 იანვრიდან დაქირავებულია სარდაფები **ეტრუსა მაკაროვისა.** კანტორა და მაღაზია ღვინის ვაჭრობისა იმავე სახლშია (ოლგას ქუჩა, ტელეფონი № 150).

ღვინოები ისყიდება ბოთლი 25 კაპ. დაწყებული.

ნარდად მსყიდველთ და მუდმივ მუშტარს ნაკლებად მიეცემა; ათ ბოთლზე ნაკლები თუ არ მოითხოვა მუშტარმა, ღვინოს კანტორა სახლში თვითონვე მიუტანს.

ღვინო იყიდება:

საწყობში—გოლოვ. პროს. სახ. დობრჟანსკისა, ტელეფ. № 595.

დეპო № 1, სასახლის ქუჩა, საკუთარი სახლი, ტელეფ. № 60.

დეპო № 2, თავ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ტელეფ. № 210.

კავკასიის აფიც. საზოგ., რკინის გზის მოხელეთა მომხმარებ. საზოგადოებისა, შაქიევისა, მანიევისა, აკოფოვისა და სხვა საგასტრონომიო მაღაზიაში. (0—15)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის ვ. ს. მუსხელაშვილისა.

(ვედეკინიშვილისეული)

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. ი. ტომინაძე—ყბაყურის სნეულებანი 9—10 საათამდე.

ნ. ტ. მუღინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

მ. დ. დუმბაძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

მ. მ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. პ. ბაბალაშვილი—ყბაყურის სნეულებანი 10—11 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. ვ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ბრ. ვ. ხოზოლოვსკი—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოობით:

ქ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ქალების 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუდმივი ექიმი **ბ. დ. ნახარიძე.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში.) ტელეფონი № 274 (წლ.

ბათუმში

ახლად გამართული სასტუმრო

„ბერლინი"

მიხეილის ქუჩა, ქალაქის შუაგულში, ნავთ-სადგურისა და სავაჭრო კანტორების მახლობლად, ზღვაზედ გადასახედია.

ნომრები კარგად არის მოწყობილი

ყოველგვარი მოწყობილება, ელექტრონის ზარები და სუფთა საცვალი; ვანნები.

ნომრის ფასი 50 კაპეიკიდან. თვეობით ნაკლებ. ფასი ყველაფერზე დაკლებულია. მოსამსახურენი ზრდილობიანად იქცევიან.

სასტუმროს პატრონი რ. ა. ქანქლაძე. (3—5.—2)

ტფილისის სავაჭრო სკოლა

ექვემდებარება ფინანსთა სამინისტროს, დაარსებულია ტფილისის ვაჭართა საზოგადოების მიერ.

კურსი სამის წლისაა. პირველ კლასში მიიღებიან უეგზამენოთ საქალაქო სასწავლებლებში (1872 წლის დებულებისა) სწავლა დამთავრებულნი. სწავლის ფასი 80 მანეთია წელიწადში.

კურს-დამთავრებულთა უფლებანი:

ეძლევათ წოდება პირად საპატიო მოქალაქისა სავაჭრო საქმეში ხუთის წლის სამსახურის შემდეგ. სახელმწიფო სამსახურში—უფლება უეგზამენოდ პირველ საკლასო ჩინის მიღებისა; სამხედრო ბეგრის გადახდის დროს ისეთივე უფლებანი ენიჭებათ, როგორც მეორე ხარისხის სასწავლებლებში კურს დამთავრებულთ.

სწავლა დაიწყება პირველ სექტემბერს. თხოვნასთან ერთად უნდა გამოიგზავნოს მოწმობანი დაბადებისა, წოდებისა და ყვავილის აცრისა. თხოვნების მიღება შეიძლება ტფილისის საკომერციო სასწავლებელში ყოველ დღე დილის 9-დან ნაშუადღევის 2 საათამდე. (3—5.—3).

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

ცინკოგრაფია

ტფილ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდამ.

საზღვარ-გარედ

სერბია. ავსტრია-რუსეთის შეთანხმება ბალკანეთის საქმეების გამო, როგორც სჩანს, მტკიცე ნიადაგზე ვერ უნდა იყოს დამყარებული და არც საკვირველია: როცა ორ სახელმწიფოს ერთი და იგივე მიზანი აქვს ერთ და იმავე ადგილს და ეს მიზანი აგრესიულია, მათი მორიგება გარდუვალ სიძნელეს უნდა წარმოადგენდეს.

ერთი გერმანული გაზეთი, რომელიც, „ნოვოე ვრემია"-ს სიტყვით, ძალიან ახლო არის გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტროსთან, სხვათა შორის, სწერს სერბიის საქმეების გამო:

„ვენაშიაც და პეტერბურგშიაც ერთნაირად გრძნობენ, რომ ბელგრადის დრამის დამნაშავენი აუცილებლად უნდა იქმნენ დასჯილნი. მაგრამ მეფე პეტრეს არაფრის გზით არ შეუძლია თავის თავზე მიიღოს ინიციატივა. მეფისთვის აუცილებლად საჭიროა, რომ დაემყაროს რომელსამე დიდ სახელმწიფოს, რადგან ობრენოვიჩების მოკვლა არ შეიძლება ჩაითვალოს სერბიის შინაურ პოლიტიკის საქმედ.

რომელია ის სახელმწიფო, რომელსაც უნდა მიჰმართოს სერბიის ახალ მეფემ? რასაკვირველია, ავსტრია. რომ სერბია ავსტრიის ინტერესების სფერას ეკუთვნის, ეს ეჭვს გარეშეა თუნდ მარტო გეოგრაფიული პირობებიც რომ გვქონდეს სახეში.

რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფი სერბია მუდმივი მუქარა იქნებოდა ჰუნგრეთისა და რუმინიის საზღვრებზე. რუსეთისათვის კი ავსტრიის გავლენა სერბიაში არავითარი მუქარა არ იქმნება პოლიტიკურად.

ავსტრიის ისტორიაში უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში დასრულდა მთელი ეპოქა და ისევ განახლდა ორასის წლის განმავლობაში დაეწყებული ისტორიული მისია. 1739 წელს ბელგრადის ხელშეკრულებით გათავდა ავსტრია-ოსმალეთის ომი; ამ ხელ-შეკრულების ძალით ეხლანდელ სერბიის უდიდესი ნაწილი, რომელიც ასე ვაჟკაცურად დაიპყრო პრინცმა ევგენიმ, ისევ ოსმალებს დაუბრუნდა. აქედან დაწყებული, ავსტრიამ უარი სთქვა თავის დანიშნულებაზე აღმოსავლეთის მხრივ. ბრძოლა სილეზიისათვის, ბავარიის შემოერთების განზრახვა, ფრანგებთან ომი და სხვა იყო მიზეზი, რომ ჰაბსბურგების მონარხიამ სულ სხვა მხარეს მიაქცია ყურადღება, ავსტრიამ თან-და-თან დაჰკარგა სილეზია, ლომბარდია, ვენეცია და გერმანიის კავშირიდანაც გამოვიდა; ამიტომაც ავსტრიის პოლიტიკის უმთავრესი ცენტრი ისევ აღმოსავლეთისაკენ გადაიწია. თავად ბისმარკის გავლენით, ჰაბსბურგების მონარხია მიხვდა, რომ მისი დანიშნულება არის დაპყრობა ბალკანეთისა ევროპის კულტურის გასავრცელებლად. ბერლინის კონგრესზე შეიძინა ავსტრიამ ბოსნია და ჰერცოგოვინა და ამ ოცდახუთის წლის განმავლობაში შესამჩნევი კულტურული დანიშნულებაც აასრულა. ბალკანეთის საქმეთა რყევა და დაუდეგრობა ამტკიცებს, რომ ავსტრიის კულტურული მისია კი არ უნდა შეჩერდეს, არამედ სულ წინ უნდა მიდიოდეს".

გერმანულ გაზეთის მოყვანილ ადგილის გამო „ნოვოე ვრემია" სწერს: „ეხლა რამდენადმე ცხადია, თუ ბერლინი რატომ იყო ასე გულგრილად" სერბიაში მომხდარ ამბების შესახებ. ეს გულგრილობა მოკლებული არ არის პოლიტიკურ ხერხიანობას. მაგრამ საფიქრებელია, რომ ავსტრია არ მოჰყვება ხერხიანად დაგებულ მახეში, რომლის კარი ბერლინში იხურება. სერბიის სამეფო ბოსნია და ჰერცოგოვინა არ არის და არც 1903 წელი ჰგავს 1878 წელს".

ავსტრიის ან სხვა სახელმწიფოს „კულტურულ მისიაზე" ლაპარაკი, რასაკვირველია, მხოლოდ სიტყვის მასალაა და მეტი არაფერი; ნამდვილ კულტურულ მისიისათვის სრულებით საჭირო არ არის ქვეყნის „დაპყრობა" და თუ ვითომდა „მისიის" მომიზეზებით ქვეყნის დაპყრობაზე ლაპარაკობენ, ცხადია, აქ თვითონ დაპყრობილის ინტერესი სრულებით არაფერ შუაშია.

◆ სერბიის მეფე-დედოფლის მოკვლის ამბავს გაზეთებმა ისიც მოაყოლეს, რომ ხალხი აღტაცებულია მომხდარ ამბების გამო, ქუჩებზე მუსიკა და სიმღერაა და სხვა. რაც უნდა იყოს, ყველაზე, ვისაც კი სისხლის ღვრა სიამოვნებად არ მიაჩნია, ცუდი შთაბეჭდილებს მოახდინა ხალხის ასეთმა ქცევამ. ეხლა, თუ ფრანგულ გაზეთ „ტან"-ს დავუჯერებთ, ხალხი სრულებით არაფერ შუაში ყოფილა:

„რა როლს თამაშობდა რევოლიუციაში სერბიის ხალხი, რას აკეთებდა, რას ჰფიქრობდა, რას ამბობდა?

ამ კითხვებზე მოკლედ შეიძლება პასუხის მოგება: სერბიის ხალხს არაფერი გაუკეთებია, არც არაფერი უთქვამს და არც არაფერი უფიქრნია. ხალხს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია რევოლიუციაში და არც შეეძლო ამ მონაწილეობის მიღება. ერთად-ერთი რევოლიუციონური ძალა, რომელიც სერბიაში არის, ჯარია და სწორედ ამ ჯარით ისარგებლეს შეძულებულ დინასტიის ტახტიდან ჩამოსაგდებად. ხალხი პასიური მაყურებელი იყო. მაგრამ როგორღა შეხვდა ხალხი რევოლიუციას? პირველი დეპეშები გვარწმუნებდნენ, ვითომ ქალაქი აღტაცებულია, მუსიკა უკრავს და სხვა. ყველა ეს მოჭორებულია: მუსიკა სამხედრო იყო, მხიარულებდნენ ქუჩის პატარა ბიჭები, რომელნიც ქუჩა-ქუჩა დარბოდნენ პატარა სერბიულ ბაირაღებით და „ჟივიო"-ს გაჰკიოდნენ. ქუჩის ბიჭები ხომ ხალხი არ არის! სხვა გვარი აღტაცება ჩვენ არ გვინახავს. ბაირაღებსაც კი ერთობ ზარმაცად ჰკიდებდნენ—უფრო კაფეებში და რესტორანებში, სადაც ძალიან შიშობდნენ პოლიციის წაჩხუბებას. მთელი ფაკელცუგი შესდგებოდა ჯარის-კაცებისა და ასამდე უსაქმურებისაგან. ხალხი არავითარ სიხარულს არ აცხადებდა, მაგრამ არც მწუხარება ეტყობოდა. ობრენოვიჩები ხალხს არ უყვარდა, ალექსანდრე და დრაგა არავის ებრალება. ერთის სიტყვით, სამაგალითო გულგრილობით მოეკიდა ხალხი რევოლიუციას. პროვინციაშიაც იგივე იყო, რაც სატახტო ქალაქში. სერბიაში ისე გამოიცვალა დინასტია, რომ ხალხს არც კი შეუტყვია."

ჩერნოგორია. ჩერნოგორიაშიც ვერ ყოფილა დინასტიის საქმე კარგად მოწყობილი: ჯერ ერთი, ხალხი უკმაყოფილოა თურმე მთავარ ნიკოლოზის, ცოტა არ იყოს, დესპოტიურ მართვა-გამგეობით, მეორე, ტახტის მემკვიდრეობის საქმეც არეულ-დარეული ყოფილა: ეხლანდელი მემკვიდრე დანილო არ უყვარს ხალხს და ვერც ძმასთან ყოფილა კარგად განწყობილი. სამაგიეროდ მთავრის მეორე შვილი მირკო ხალხს ძალიან უყვარს. ობრენოვიჩების უბედურებამ ძალიან ჩააფიქრა მთავარი ნიკოლოზი და ამიტომ მისი სურვილია უფროს შვილს უარი ათქმევინოს ტახტის მემკვიდრეობაზე და მირკო დანიშნოს მემკვიდრედ.

ამბობენ, მემკვიდრის ცოლი, გერმანელი პრინცესა, წინააღმდეგი არ არის ასეთ კომბინაციისა, თუ მატერიალურად უზრუნველყოფილი იქნებათ.

ირლანდია. ირლანდიელებმა ძალიან ხერხიანად ისარგებლეს ეხლანდელ სამინისტროს გაჭირვებულ მდგომარეობით. როგორც „ბერლინერ ტაგებლატ"-ი იტყობინება, ირლანდიელ ნაციონალისტებმა შეუთვალეს სამინისტროს, რომ თუ ირლანდიის აგრარულ ბილში არ მოახდენთ ჩვენ მიერ მოთხოვნილ ცვლილებებს, გადაგიდგებით და ბილს სრუ-

ლებით არ მივიღებთო. კაბინეტმა, იმის შიშით, რომ ირლანდიელების ხმები არ დაეკარგა, თანხმობა გამოუცხადა ნაციონალისტებს და ესენიც ისევ მთავრობის მხარეზე გადავიდნენ. ამიტომაც მეფე ედუარდის მოგზაურობას ირლანდიაში ბრწყინვალე ხასიათი ექმნება, მით უმეტეს, რომ, როგორც ამბობენ, თვითონ მეფე ყველაზე მეტად სცდილობდა დიდ ბრიტანიისა და ირლანდიის შერიგებას.

ახალი ამბავი

◆ 20 ივნისს „ქ. შ· წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სადგომში კრება მოხდა **სახალხო სიტყვიერების** შეკრებისა და გამოცემის შესახებ მოსალაპარაკებლად. კარგა ხანია სახალხო სიტყვიერებაზე სწერენ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, ბლომა მასალაც შეიკრიბა, მაგრამ გამოცემა ამ მასალას დღემდე არ ეღირსა. კრებამ საჭიროდ სცნო გამოსცეს ჯერ ის, რაც შეკრებილია. ზოგმა განაცხადა, საჭიროა მეცნიერულად შემუშავდეს და ისე გამოიცეს სახალხო სიტყვიერებაო. უმრავლესობა არ დაეთანხმა ამას. იმის აზრით, მეცნიერულად შემუშავება სახალხო სიტყვიერებისა მხოლოდ გამოცემის შემდეგ შეიძლება. ბოლოს კრებამ დაავალა ზ. ბილანაშვილს, თავი მოუყაროს იმ მასალას, რაც ჟურნალ-გაზეთებშია გაფანტული. გადაწერის შემდეგ პირდაპირ ბეჭდვას შეუდგებიან როგორც ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებულ, ისე კერძო რვეულებად შენახულ ზღაპრებისა, ლექსებისა, ანდაზებისა და სხვებისას. სასურველია ამიტომ, ვისაც მოეპოვება რამ სახალხო სიტყვიერებისა, გაუგზავნოს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“.

◆ გუშინ, 21 ივნისს, დილის 7 საათზე, ტფილისში უეცრად კოკისპირულმა წვიმამ დაუშინა, რასაც 15 წუთის შემდეგ **საოცარი ნაღვარი** მოჰყვა. ყველა ქუჩა წყლით აივსო, ისე რომ ერთის ნაპირიდან მეორეზე გადასვლა შეუძლებელი იყო. ავჭალისა, რიყისა, ამაღლებისა, მოსკოვისა და ზოგიერთი სხვა ქუჩები ნამდვილ მდინარეს დაემსგავსა. ავჭალის ქუჩაზე წყალი ბევრგან ქვედა სართულებში ჩავარდა და აახრა ყველაფერი. ნიკოლოოზის მოედანი საკომერციო სასწავლებლის წინ მოვარდნილმა წყალმა ქვიშითა და ქვით აავსო. წყლით აივსო სარდაფები რიყის ქუჩაზედაც. ასევე დაემართათ მოსკოვის ქუჩისა და კალიუჩი ბალკის მცხოვრებთ. ზევიდან მოვარდნილმა წყალმა წალეკა ყველაფერი და ქუჩები ქვით აავსო. დიდი წყალი მოვარდა მთა-წმინდიდან აგრეთვე გოლოვინის პროსპექტზედაც, საკრებულოს წინ. როგორც მდინარე, ისე მოჰქუხდა წყალი გიმნაზიისა და ბარიათინსკის ქუჩაზე. წყალი, სხვათა შორის, გიმნაზიის ქუჩიდან მანთაშოვის სახლის ეზოში შევარდა, იქიდან „პურ-ღვინოს“ ეზო გაავსო და ძირს სარდაფში ჩავიდა. ძალიან დააზარალა პალიზენის ქაღალდის საწყობი.

მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება კოჯრის აღმართზე მოხდა. დილის შვიდ საათზე ტორონიანცის ორი ეტლი უნდა წასულიყო კოჯორში. ამ ეტლში 12 ქალი და კაცი იჯდა. დიდის ნიაღვრებისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ და გასდგომიან გზას. წვიმა კოკისპირულად ასხამდა. როდესაც ეტლები სოლოლაკს ასცილებიან და ამაღლების ქუჩას შესდგომიან, უეცრად მოვარდნილა ნიაღვარი, რომელსაც დიდ-ძალი ქვები დაუტაკებია ეტლისთვის, გადაუბრუნებია და წაუღია. ამტყდარა ერთი საცოდავი წივილ-კივილი, რომელზედაც გამოვარდნილან სახლებიდან ახლად გაღვიძებულნი. ბევრის წვალების შემდეგ ყველანი გადაურჩენიათ. მხოლოდ ორი ეტლი და რვა სული ცხენი წაუღია წყალს. ეს ცხენები და ეტლები იმ დიდ თხრილში შეუთრევია, რომელიც ამაღლების ქუჩიდან იწყება და ბორანთან თავდება, მუხრანის ქუჩის ბოლოში. ერთი ეტლი, დამსხვრეულ-დამტვრეული, ერთი მკვდარი ცხენი და ერთიც ცოცხალი ჰნახეს მტკვრის პირად, ბორანთან. დანარჩენ ცხენების ძებნასაც შეუდგნენ, მაგრამ გუშინ ვერსად ჰნახეს ვერც მკვდრები და ვერც ცოცხლები.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრმა კოკჩაევმა შეიმუშავა მოხსენება **ქალაქის სასწავლებლებისათვის საკუთარ შენობის აგების** შესახებ. კოკჩაევს საჭიროდ მიაჩნია ქალაქმა ისესხოს 50,000 მან., იმ ფულიდან, რომელიც გადადებულია საუნივერსიტეტო ფონდის შესადგენად. საკუთარ შენობების აგება იმიტომ არის საჭირო, რომ ქალაქს ყოველ წლობით დიდ-ძალი ფული ეხარჯება სადგომების დასაქირავებლად. კოკჩაევის მიერ აღძრული საკითხი ახალი არ არის. ჯერ კიდევ ამ თორმეტის წლის წინად მაშინდელმა ხმოსანმა ნ. ზ. ცხვედაძემ ვრცელი მოხსენება წარუდგინა საბჭოს, სკოლების სადგომის შესახებ. საბჭომ მაშინ პრინციპიალურად მიიღო წინადადება, მაგრამ განხორციელება დღემდე ვერ მოახერხა.

◆ ქალაქის მიწების მეთვალყურე კომისიამ გამოარკვია, რომ **ქალაქის განაპირა ადგილებში** ბევრგან აგურხანების პატრონთ ქალაქის მიწები მიუსაკუთრებიათ, აგურს აკეთებენ და საიჯარო ფულს კი არ იხდიან. კომისიამ დაადგინა, დაუთმოს მსურველთ იჯარით მიწა იმ პირობით-კი, რომ საიჯარო ფული 1901 წლიდან უნდა გადაიხადონ.

◆ მკითხველებმა იციან, რომ ამას წინად ტფილისში დაარსდა **ბებია-ქალთა საზოგადოება**. ამ საზოგადოების გამგეობას გადაუწყვეტია ქალაქის სხვა-და-სხვა ნაწილში მოაწყოს დღისით და ღამით ბებია-ქალების მორიგეობა. ჰფიქრობენ ასეთ მორიგეობის მოწყობას, სხვათა შორის, ქალაქის სამკურნალოსა და იმის განყოფილებებთან.

◆ ახლად გამართული **ხორცის დუქანი ვერაზე**, რომელიც დღეს უნდა აკურთხონ, ვერის მოედანზე ქალაქის შენობაშია მოთავსებული.

◆ როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, **ტფილისში მყოფი ჯარი** ზაფხულობით კაზარმებს თავს ანებებს და მინდვრად კარვებში დგება. საბჭოს იმ კომისიამ, რომელიც კუკიისა და ავლაბრის მიწებს თვალ-ყურს ადევნებს, დაავალა ერთ თავის წევრს, გამოირკვიოს რა უფლების ძალით სარგებლობს ქალაქის მიწით ჯარი დასაბანაკებლად, იხდის თუ არა საიჯარო ფულს, ან არის რაიმე ხელშეკრულობა თუ არა და სხვა.

◆ სახალხო კითხვებისა და **წარმოდგენების ქართულ სექციას** რეჟისორად ქართულ სახალხო წარმოდგენებისათვის მიუწვევია მსახიობი კონს. მესხი.

◆ 20 ივნისს ტფილისის ქალაქის გამგეობა პირობით შეეკრა ბ-ნ სარაჯიშვილს, რომელმაც **საკლავი საქონელი** უნდა მიაწოდოს ქალაქს ხორცის დუქნებისათვის.

◆ ტფილისის წმ. **ნინოს დედათა სასწავლებელში** თავისუფალი ვაკანსიები ყოფილა მხოლოდ ორს მოსამზადებელს, 1, 2 და 4 კლასებში. ახლად შემსვლელთა და ხელ-მეორე გამოცდა მოხდება 26 აგვისტოს.

◆ ჩრდილოეთის ცივმა და აუტანელმა ჰავამ ერთი ახალ-გაზრდა კიდევ იმსხვერპლა. სამშაბათს ტფილისში **გარდაიცვალა სტუდენტი კონსტანტინე** ალექ. ცაგარელი. განსვენებული წელიწად ნახევარია, რაც იურიევის საზეითხლო ინსტიტუტში შევიდა სრულიად ჯან-საღი. დაასაფლავეს განსვენებული გუშინ, 21 ივნისს.

◆ 10 ივლისისათვის ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე ბანკის უსახელო საზოგადოების კანტორის კასირის ჰენრიხ ბერგმანისა, რომელსაც უსახელო საზოგადოების ფულის გაფლანგვა ჰბრალდება.

19 ივნისს სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ოზურგეთის მაზრის მცხოვრების მისე კვარაცხელიასი, რომელსაც ყაჩაღობა ჰბრალდებოდა. ქუთაისის ოლქის სასამართლოს კვარაცხელიასათვის გადაუწყვეტია კატორღაში 8 წლით გაგზავნა. პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

◆ ალაგირიდან (თერგის ოლქი) გვწერენ: „წელს ჩვენსკენ დიდი წვიმიანობაა. 17 ივნისს, ნაშუადღევის სამი საათი იქნებოდა, ცამ უცბად მოიღრუბლა და კოკისპირული წვიმა დაუშვა, ამ დროს ალაგირიდან ორის ვერსის მანძილზე ურმით მოდიოდა ერთი ოსი თავის შვილით. მოულოდნელად მეხი დაეცა, ცხენი და კაცი იქვე მოჰკლა, ხოლო ბიჭი გადარჩა. საწყალი შიშისაგან ძალიან ავად არის“.

◆ ამაღლების ქუჩაზე, რომანაშვილის დუქანში ყრუ-მუნჯს ოლიშევსკის, სადილის დროს ჩხუბი მოსვლია მიხეილ მესხიშვილთან. ოლიშევსკის უძვრია დანა და მესხიშვილი 4-ჯერ მძიმედ დაუჭრია. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს, დამნაშავე დააპატიმრეს.

◆ შუა ბაზარში დუქანთან ეტლი ჰყოლია დაყენებული სპარსეთის ქვეშევრდომს დანიილ დემენოს, რომელიც რკინის გზის სადგურზე აპირებდა წასვლას. დემენოს ეტლში ჰქონია 100 მან. საქონელი. როცა დუქანში შეუხვევია სავაჭროდ, ვიღაც ბოროტ-განმზრახველს ნივთები მოუპარავს.

რუსეთის ქრონიკა

◆ კალია დონის ოლქშიაც გაჩენილა, კავკავის რკინის გზის ცარიცინის შტოზე. კალია რამდენისამე ათის ვერსის სიგრძეზეა გაჭიმული. ბევრგან მატარებელი ვერ აპობს კალიის კედელს, ამიტომ მალ-მალ ჩერდება თურმე.

◆ ამას წინად მოსკოვის საისტორიო მუზეუმმა შეიძინა ახალი ხელთ-ნაწერი გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“. ეს ხელთნაწერი ყველა სხვა ხელთნაწერზე უფრო სავსე და სრულია. მუზეუმმა ხელთნაწერში მისცა 6000 მანეთი.

◆ რუსეთიდან გაგზავნილი კორესპონდენტი „ტაიმს“-ისა ბრაგამი, როგორც „ნოვ. ვრ“. გადმოგვცემს, კონსტანტინეპოლში წასულა. კორესპონდენტი ჰპირდება თურმე მკითხველებს, აქედან ნამდვილ ცნობებს გამოვგზავნი ოსმალეთის საქმეებსა და რუსეთის ხრიკებზე ოსმალეთშიო.

პრესსა

უფლების შეძენას რომ ბრძოლა უნდა, ეს, გვგონია, ყველას უნდა ესმოდეს; აგრეთვე ისიც ვიცით, რომ ბრძოლაა საჭირო უკვე მოპოვებულ უფლების შერჩენისათვისაც. მაგრამ ერთი გარემოებაა, რომ ბევრს არ ესმის: არის ისეთი წვრილმანი უფლება, რომელსაც თითქმის არავითარ ყურადღებას არ ვაქცევთ—რა საჭიროა თავი ვიტეხოთ ისეთ რამისათვის, რაც მაინცა და მაინც დიდათ არ ღირსო, და ის კი გვავიწყდება, რომ წვრილმან უფლებების შელახვას დაჩვეულები, უფრო მსხვილ უფლების გადალახვასაც მოვითმენთ და, ისედაც დამონებულნი, კიდევ უფრო დავმონავდებით.

განათლებული ევროპიელი ჩვენსავით არასოდეს არ მოიქცევა: სულ უბრალო რამესათვის, თუ ეს რამე მის კანონიერ უფლებას შეეხება, როგორიც არ უნდა იყოს იგი უფლება, ერთ აურ-ზაურს ასტეხს და თავისას არავის დაუთმობს.

ავიღოთ სულ უბრალო, ყოველ დღიური შემთხვევა: ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე იშვიათი შემთხვევაა, რომ ყველა ბილეთის პატრონ მგზავრს ადგილი ჰქონდეს; სანამ მგზავრი ფეხზე დგომით გაჭირვებულია, იგინება და ილანძღება და რკინის გზის სამმართველოს დანაშაულს უდანაშაულო უმცროს კონდუქტორს ახდევინებს (ობერს ვეღარ ესეც არის, მიირთვა ბატკნის ხორციო“.

ვინც უნდა იყოს და რასაც უნდა ამბობდეს, მოსაწონია, რომ გულახდილად ლაპარაკობს. ასეთი მოყვარე ხომ კარგია და კარგი, მაგრამ კარგია ასეთი მტერიც. ვიცით, რაც სწადიათ ბ.ბ. გრინგმუტს, სუვორინს და ამხ.:პირ-დაფჩენილნი შემოგვჩერებიან, ლამის გადაგვყლაპონ; ისე არ გაივლიან ჩვენს ახლო, რომ მათრახი არ გადაგვკრან მაგრად და მაგრად; ისე არ შემოგვხედავენ, რომ ზიზღით და სიძულვილით არ დაგვაჯილდოვონ. ვიცით ეს ყველაფერი, ვხედავთ და ფრთხილად და მორიდებით ვართ, რამდენადაც ჯერ კიდევ შეგვრჩენია თავის დაცვის ინსტინქტი.

მაგრამ არ ვიცნობდით და უსუსურ ბავშვებსავით მოვსტყუვდით ბ.ბ. ველიჩკოების მელურ „მეგობრულ“ სიტყვებისაგან.

მეტად უბედური უნდა იყოს ადამიანი, რომ ყოველს ტკბილს სიტყვას ალტაცებით და მუხლმოდრეკით მიეგებოს! მხოლოდ მასთანვე იგი მეტად დაცემულიც უნდა იყოს, რომ ისე დაემორჩილოს პირფერობას და ფარისევლობას, როგორც ჩვენ დავემორჩილეთ. ბ. ველიჩკო მოგვეპყრა ისე, როგორც ეპყრობიან ქუჩის გარყვნილ და გახრწნილ ქალებს, რომელთადმი არავითარი პატივისცემა არა აქვთ. იგი არ ღიარებდა ჩვენში არავითარს ღირსებას, გველაპარაკებოდა, როგორც ლატაკებს, გვპირდებოდა მოწყალებას (რასაკვირველია, თავისებურს) და არ გვიწვდიდა

ფელეტონი

პატარა ამბები

(საკვირაო ფელეტონი)

მაგალითები ველურთა და ჩვენის ცხოვრებიდან.—სხვა-და-სხვა გვარი მტრები.—ცოტა რამ სამღვდელოების შესახებ.

სოციოლოგიაში სწერია: ველურ ტასმანიელების ენაზე არ მოიპოვება სიტყვები „სინიდისი“, „გულ-ახდილობა“, „გამბედაობა“; ბეჩუანებს არ აქვთ სიტყვები „პატიოსნების“, „ბრძოლის“ და „თავისუფლების“ გამოსახატავად; ავსტრალიელებს არ შეუძლიათ გაარჩიონ „უსამართლობა“ და „სამართლიანობა“, „დამოუკიდებლობა“ და „მონობა“, მათთვის არსებობს მხოლოდ „სმა-ჭამა“ როგორც არსებობა, „მტერი“ როგორც უკეთესი და უფროსი, „გაიძვერა და უბოროტესი“ ადამიანი, როგორც ღმერთი.

ენა სრული გამომხატველია ხალხის ცხოვრებისა: რაც არ არის ხალხის ცხოვრებაში, არ არის მის ენაშიაც. ვერ გამოხატავს განყენებულს მცნებებს და აზრებს ის ხალხი, რომელიც დაბლა სდგას გონებით; ხალხს, რომელიც მხდალს და გაუბედავს ცხოვრებას არის მიჩვეული, არ აქვს სიმამაცის და თავგამოდების გამომხატველი სიტყვები; არ მოიპოვება სიმართლის და პატიოსნების გამოსათქმელი სიტყვები იმ ხალხის ენაში, რომელიც მუდამ გარყვნილად და უზნეოდ ცხოვრობს.

განუვითარებელი ენა ადამიანის შემბორკველია და სულის შემხუთავი. ბუშმენების ენა იმდენად ღარიბია, რომ თავიანთ აზრის გადმოცემა შეუძლიათ მათ მხოლოდ მაშინ, თუ დაიხმარებენ სახის გამომეტყველებას, ხელებს და სხვა-და-სხვა „ჟესტებს“; ველურის პულების ლაპარაკი კლოუნის ხტუნვა ეგონება ადამიანს, კალიფორნიელებისას ვერაფერს გაიგებს კაცი ბნელაში, როდესაც ვერ ჰხედავს მათს ტანს და სახეს.

ერთი რამ კიდევ ახირებული ჩვეულება სჭირთ ველურებს. როდესაც ვინმე ძვირფასი ადამიანი მოუკვდებათ, მისი სახელის წარმოთქმა არავის არ შეუძლია, სასტიკად აკრძალულია; ხშირად სიკვდილითაც სჯიან, ვინც ახსენებს ძვირფასის მიცვალებულის სახელს, რომელიც იმავე დროს არის სახელი რომელისამე მცენარისა, ან ცხოველისა ან რაიმე მოვლენისა. ველურები თითქმის მუნჯდებიან, როდესაც რამდენიმე ძვირფასი ადამიანი მოუკვდებათ ერთად მტრების თავდასხმის დროს. მათს ღარიბს ენას კიდევ უფრო ეკარგება შინაარსი, იგი შეიქმნება უფერული და უსიცოცხლო, არაფერს არ ეუბნება ველურის ისეც მიჩლუნგულს სულსა და გულს...

ასე სწერია სოციოლოგიაში.

ამას რომ ვკითხულობ, უნებურად მეხატება წინ ჩვენი ცხოვრება და ენა. აბა, თვალი გადაავლეთ ჩვენს მწერლობას: არწივის თვალებით რომ ალიჭყურვოთ, მაინც ვერ იპოვნით შიგ ისეთს სიტყვებს, რომლებიც წამ და უწუმ გესმისთ ევროპიულ პრესაში. სად არის ქართულ მწერლობაში ის სიტყვები და მცნებანი, ურომლისოთ ევროპის განათლებულს ერებს ენის განძრევა არ შეუძლიათ?... შეიძლება ოდესმე გვქონია ასეთი სიტყვები, მაგრამ ჟამთა ვითარებისა გამო გამქრალან, დაკარგულან!...

ჩვენს მწერლობაში (ცხოვრებაში, და აქედან მწერლობაში) ბევრს სიტყვას თითქოს ველურების „ტაბუ“ დასდებია, ამიტომ მწერლობის ენა არის მკვდარი, არაფრის მეტყველი, უგრძნობელი!.. განა ქართველს მწერალს შეუძლია, გადასცეს მკითხველს თავისი ფიქრები და გრძნობანი ისე, რომ არ მიჰმართოს ათასნაირ ჟესტებს, ნიშნებს, ხაზებს?..

განა ასე იქნებოდა, რომ ქართველი ერი განათლებულ, კულტურულ, ბედნიერ ერთა რიცხვში ერიოს?

* *

ამ ცხრა წლის წინად სუვორინის გაზეთი ერთ-ერთ თავის მეთაურში ამბობდა: „ნურავის ჰგონია, რომ გაჩუმებით და სიწყნარით შეიძლება, დასძლიო ძლიერი მკლავი და ანგარება. დედამიწაზე მგლებსა და ვეფხებს ებრძვიან და ეომებიან; ცხვრებს კი არ ებრძვიან, არამედ პირდაპირ ჰკლავენ შესაწვავად, ან ჰკრიჭავენ მათს შემოსავალს, ვინც

გაუბედავს), მაგრამ მივა თუ არა დანიშნულ ადგილს, ყველაფერი ავიწყდება. ევროპაში მზგავსს მოვლენას ვერ შეხვდებით; ფული გაგიღია და ბილეთი გიყიდია, მაშასადამე ადგილიც უნდა გქონდეს ვაგონში და მართლაც, ევროპიელს ყოველთვის აქვს თავისი ადგილი, რადგან რკინის გზის სამმართველომ იცის, რომ არ შერჩება, თუ ასეთი ელემენტარული კანონი და უფლება მგზავრისა დაარღვია.

განა ჩვენ კი არ შეგვიძლია ასეთ ელემენტარულ კანონის ასრულება მოვითხოვოთ? თურმე შეგვძლებია.

ვარშავაში საინტერესო საქმე გაირჩა: ნაფიც ვექილმა კერსკიმ უჩივლა ვისლის რკინის გზის სამმართველოს ორმოცდა რვა კაპეიკი. მიუხედავად ფულის რაოდენობის სიმცირისა, საქმის გარჩევას მთელი საათ-ნახევარი დასჭირდა და დიდ-ძალი საზოგადოებაც დაესწრო, იმდენად საინტერესო იყო საქმის პრინციპიალური მხარე.

ბ. კერსკი ცოლით წამოსულა სადგურ ფალენიციდან ვარშავაში და უყიდნია მეორე კლასის ბილეთები. მიუხედავათ იმისა, რომ კერსკიმ რამდენჯერმე მოსთხოვა კონდუქტორს დასაჯდომი ადგილი ეჩვენებინა მისთვის, კონდუქტორისაგან მხოლოდ უკმეხი უარი მიიღო; ამ გვარად ორივე ცოლ-ქმარი იძულებული შეიქნენ პლატფორმაზე მდგარიყვნენ მთელი გზა. როცა კონდუქტორმა და კანტროლიორმა ბილეთები მოსთხოვეს მგზავრებს, კერსკიმ არ ინდომა ბილეთების მიცემა, რისთვისაც ჟანდარმებითა და ოქმის შედგენით დაემუქრნენ.

რადგან რუსეთის რკინის გზების წესდების მეოცე მუხლი ამბობს, რომ ბილეთი უფლებას აძლევს მგზავრს დასაჯდომ ადგილზე და რომ ეს ადგილი კონდუქტორმა უნდა უჩვენოს მას, კერსკიმ სამართალს მიჰმართა და მოითხოვა, რომ ვისლის რკინის გზის სამმართველოს გადახდეს 48 კაპეიკი (48 კაპეიკით მეტი ღირს მეორე კლასის ბილეთი მეოთხისაზე, სადაც მგზავრებს დასაჯდომი ადგილი არა აქვთ).

სასამართლომაც სავსებით დააკმაყოფილა მომჩივანი: მიუსაჯა 48 კაპეიკი და ხუთი მანეთიც სასამართლოს ხარჯი.

ჩვენში რომ რამდენჯერმე განმეორდეს ასეთი შემთხვევა, შეიძლება, ჩვენი რკინის გზის სამმართველომაც მიაქციოს ყურადღება მგზავრების კანონიერ მოთხოვნას, მაგრამ ვაი რომ ჯერ პოლონელებიდან ძალიან შორსა ვართ.

წერილი სოჩიდან

წინანდელი და ეხლანდელი სოჩა.—ხალხის სიხარბე.

ამ პატარა დაბამ არა ერთხელ დიდი აურზაური ასტეხა ჟურნალ-გაზეთებში. ალბად, რადაც უნდა იყოს აქ საინტერესო, იკითხავს მკითხველი. დიახაც ბევრი რამ არის საინტერესო. ადგილ-მდებარეობიდან დაწყებული მცხოვრებლებამდინ სოჩა განსხვავდება სხვა ახლო მდებარე დაბა-ქალაქებისაგან. უწინ აქ ჩერქეზები სცხოვრობდნენ. მას შემდეგ დიდი ცვლილება მოხდა. რას იტყვის დღეს საწყალი ჩერქეზი, საშუალება რომ ჰქონდეს ანატოლიის რომელისამე სოფლიდან დაბრუნებისა და ოხრად დატოვებულ მიწა-წყლის ხილვისა! მერწმუნეთ, მკითხველო, რომ დღეს ვერც კი იცნობდა და განცვიფრებით გკითხავდათ: რა უყავით ჩემ მიწა-წყალსაო. აა, ასეთი მეტამორფოზა შეუძლიან ყოვლის შემძლებელს კაპიტალს, რომელმაც აქ საზქართოდ შემოდგა გზა. ის ადგილი, სადაც ათ-თხუთმეტის წლის წინად გარეული ღორი და სხვა ნადირი ბუნაობდა, ქალაქად გადაიქცა. ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ ოხრად დატოვებული მიწის ოთხ-კუთხი საჟენი ათ-თხუთმეტ მანეთად იყიდეს ვიღაც მოსკოველმა ვაჭრებმა და გააშენეს მშვენიერი სახლები და ბაღები. რამდენისამე წლის წინად მგლის ყმუილს თუ გაიგონებდით, თორემ მუზიკის ხმას ვინ ეღირსებოდა. დღეს კი ქალაქის ბაღში უკრავს სამხედრო მუზიკა. მოსკოვის, პეტერბურგის და სხვა ქალაქების არისტოკრატია აქ იშვიათი არ არის.

უმეტეს შემთხვევაში აქ მოსულ-დამკვიდრსაც საშინელი მადა აქვს აღძრული. ინტელიგენტი და არა ინტელიგენტი სცდილობს გამოსტაცოს ვინმეს ლუკმა და მიუმატოს თავისას. ამისთვის შური და მტრობა ხშირია. არსად, სადაც ნებით თუ უნებლიეთ შემხვედრია ცხოვრება, ბრძოლა გამდიდრებისთვის ასეთ საზიზღარ ქერქში მოთავსებული არ მინახავს. ბრძოლა იმდენად გამწვავებულია, რომ მტერი და მოყვარე ყველა მოწინააღმდეგე ჰგონიათ. რა მშვენიერი რა ტურფა და კეკლუცი იქნებოდა ეს ადგილი, სადაც ქრისტეს თავისი უხვი კალთა დაუბერტყია, და ბუნებას ყოველივე სიკეთით შეუმკია, რომ კაცი—ეს ორფეხა პირუტყვი—თავის ღვარძლით და შურით არ ახდენდეს მიდამოს...

მოსკატ.

წერილი წყალტუბოდან

წყალტუბოს აბანოები

გათავდა თუ არა ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებები, გამოვეთხოვე ჩვენ მტვრიან ქუთაისს და პირდაპირ იცნობს გავეშურე წყალტუბოს მადნეულ წყლებზე. აქაური სეზონიც სწორედ ამ დროს იწყება. ქუთაისიდან წყალტუბომდის სულ ორი საათის სავალია ეტლით, მაგრამ გზას მაინც ჯერ-ჯერობით არ ეტყობა ადმინისტრაციის მზრუნველობა. ეს მით უფრო საკვირველია, რომ მეაბანოეთა გარდა ამ გზით დადის აურებელი ხალხი სხვა-და-სხვა სოფლებიდან ქუთაისში. ერთის სიტყვით, როცა ცუდი დარია, ეტლით მოგზაურობა ამ გზაზე ძლიერ ძნელია. წყალტუბოს მადნეული წყლები კარგა ხანია გამოიკვლიეს სპეციალისტებმა და მოიწონეს კიდეც. შარშან აქაურ წყლების სანახავად მოვიდა ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი ვ. პეტრიაშვილი, რომელმაც თან წაიღო სხვა-და-სხვა წყაროების წყალი. უეჭველია, ქართველი მეცნიერი უფრო ყურადღებას მიაქცევს წაღებულ ნიმუშების ქიმიურ გამოკვლევას და გაუზიარებს თავის დასკვნას საზოგადოებას. წყალტუბოს აბანოების პატრონები მოუთმენლად მოელიან ზემოხსენებულ მეცნიერის აზრის გამოქვეყნებას.

აქაური ხალხის აზრსა და რწმენას თუ დაუჯერებთ, წყალტუბოს წყლები მისწრებაა ბევრ სნეულობისათვის. როგორც დამარწმუნეს ზოგიერთა მოხუცებულებმა, ბევრი მაგალითი ყოფილა ისეთი, რომ სრულიად დაკუტული ავადმყოფები მოკლე ხნის განმავლობაში მორჩენილიყვნენ წყალტუბოს თბილ წყლების ზეგავლენით. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ აქაური აბანოები მართლაც ძლიერ მარგებელია საზოგადოთ ჭვალებიან და დაკუტულ ავადმყოფთათვის; წყლები ძლიერ უხდება აგრეთვე ადამიანის კანის ყოველ გვარ სნეულებას.

წარმოიდგინეთ მდინარის პირად დიდი მშვენიერი ვაკე მინდორი და ამ მინდორში ორ ადგილას ღრმა და ფართო აბანო. აბანოებში დედამიწიდან მრავალ ადგილას ამოჰქუხს ცხელი წყალი, რომელიც თქვენ თვალ-წინ იშლება რგოლებად. წყალი, უეჭველია, შორეულ აღმოსავლეთის მთებიდან უნდა მომდინარეობდეს და დიდის სიღრმიდან უნდა ამოდიოდეს, რადგან აბანოების მახლობლად მდინარე „წყალტუბო“ ჩამოდის და აბანოს თბილი წყლები იმის კალაპოტის ქვეშ გამოდიან ისე, რომ არავითარი კავშირი არა აქვს მდინარის ცივ წყალზე. აბანოებს ხელოვნური მოწყობილობა მხოლოდ იმათი განისაზღვრება, რომ ზემოდან დახურულია ყავრით, როგორც სადგომი, და ირგვლივ აშენებული აქვს ფიცრის კედლები. ამას გარდა აბანო გაყოფილია კედლით ორ ნაწილად. ამ კედლის დანიშნულება ის არის, რომ ერთის მხრით მამაკაცები ბანაობენ, ხოლო მეორე მხრით—დედაკაცები. ამ გვარად კარეშე ჰაერი თითქმის თავისუფლად მოქმედობს სამკურნალო წყლის ზემო პირზე და უსუსტებს იმას ბუნებრივ სითბოსა და ძალას.

აბანოს დიდ აუზში ერთსა და იმავე დროს იმდენი ხალხი ბანაობს, რამდენიც-კი მსურველია. ხალხის ამოსვლის შემდეგ წყალს აუზიდან ერთბაშად უშვებენ წყალტუბოს მდინარეში, შემდეგ ჰკეტვენ და 10 წამის განმავლობაში აუზი ხელ-ახლა ივსება კაცის სიმაღლეზე. როგორც თვით აბანოში, ისე ამოსვლის შემდეგ ადამიანი დიდ სიამოვნებასა და სიმჩატეს ჰგრძნობს. აუზში მებანოენი თითქმის მთელის საათით ჰრჩებიან. აბანოში ყველას შეუძლიან ჩასვლა, ვინც დღე და ღამე ერთ აბაზს გადაიხდის. ამ ფასით რამდენჯერაც გსურთ, იმდენჯერ შეგიძლიანთ ჩახვიდეთ აბანოში 24 საათის განმავლობაში, მხოლოდ საჭიროა ყველაფერი, რაც-კი უნდა ბანაობის დროს ადამიანს, თან ჰქონდეს, საკუთარი, რადგანაც აუზთან არც მოსამსახურეა და არც ზეწრისა და პირსახოცის შოვნა შეიძლება. აბანოების მახლობლად აშენებულია ხის სადგომები, ოთახებად დატიხრული. თითო ოთახი მამა-პაპეური მოწყობილებით ღირს დღეში ათი შაურიდან ერთ მანეთამდის. იქვე არის ორიოდე დუქანი, სადაც შეგიძლიანთ იშოვნოთ სამოვარი, იმერული ღვინო, პური, კვერცხები, ყველი და ქათამი. ნება დართულია აგრეთვე იმართებოდეს ყოველ კვირა დღეს ბაზრობა, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ გამართულა. აბანოების პატრონებს ჰყავთ თავის ხარჯით ერთი ფერშალი და ორიოდე პოლიციის მოხელე.

ჰაერი საზოგადოდ ვერ არის საქები და უკეთუ წვიმიანი დღეები დაგესწროთ მეაბანოებს, შეიძლება ციებაც შეგეყაროთ. აბანოობის საუკეთესო დრო იქნება მაისი, ივნისი, აგვისტო მარიამობიდან დაწყებული და მთელი სექტემბერი. ამ დროს წყალტუბოს თბილ წყლებს ბევრი ხალხი ეტანება როგორც იმერეთიდან, ისე შორიდანაც. ყოველ ხარჯსა და სახელმწიფო გადასახადს გარდა აბანოების წლიური შემოსავალი ორას თუმანს არ აღემატება.

წყალტუბელი.

დაბა-სოფლები

—

ხ. ალი (ზემო ქართლი). ვისაც კი ამ სოფლისათვის თვალი გადაუვლია, იფიქრებს: ბუნებას რა უხვად დაუჯილდოვებია, ნეტავ აქაურ მცხოვრებთ, ირგვლივ მშვენიერი ტყე, წყალი, მინდვრები, წისქვილები და სხვათ. მაგრამ მაგარი ის არის, რომ გლეხი ყველა ამით ნაკლებად სარგებლობს. იმისი არაფერი არ არის. თუ, მაგალითად, ტყეში მოასწრეს, რომ ხე მოსჭრა და ან საქონელი შეუშვა, ვაი იმისი ბრალი, სანამ ამ დანაშაულისათვის რამდენსამე თუმანს არ გადაიხდის და კარგადაც არ აჭკიფებს. ჩარჩებისაგან გატყავებულნი არიან გლეხები. რას იტყვით, რომ თავიანთ ჯიბის სასარგებლოდ და ხალხის გასაფუჭებლად ამათ არ მოიგონონ? აი, მაგალითად: კანონის ძალით გლეხს, რაც უნდა ბევრი ვალი ემართოს, სახლს და უღელ ხარს ვერავინ წაართმევს, რადგან უმათოდ გლეხს შიმშილით სული ამოძვრება და სახელმწიფო სამსახურს ვეღარ გაუძღვება. ჩვენმა ცნობილმა ვაჭბატონებმა ამ კანონსაც უხერხეს და გააუქმეს. აი როგორ: ისეთი გლეხი, რომელსაც ერთი სახლისა და უღელი ხარის მეტი არა აბადია-რა, მიჰყავთ ნოტარიუსთან და ნასყიდობის ქაღალდს ართმევენ, რომლის ძალითაც, თუ ვინიცობაა პირობა რითიმე დაარღვია, გლეხს უსახლოდ და უხაროდ სტოვებენ. ერთს აქაურს მცხოვრებს მოუკვდა მოხუცი მამა; დასამარხი ფული თვითონ არა ჰქონდა და მიჰმართა ფულიან კაცს, რომ ასი მანეთი ეთხოვებინა ერთის თვის ვადით სარგებლით და თუ არ მისცემდა, ორასი მანეთი გადაეხდევინებინა. ფულიანმა სიხარულით ჩამოართვა ორასი მანეთის თამასუქი. საუბედუროდ, გლეხმა ფული ვერ ჩააბარა თავის ვადაზე, რის გამო შეუბრალებლად გადაახდევინა ასი მანეთის მაგიერ ორასი მანეთი, ასე რომ გლეხს ანგარიშით სარგებელი მოუვიდა 1200%.

მართლის მთქმელი

—

დ. ლანჩხუთი (გურია). წელს, გასულ წლებთან შედარებით, ლანჩხუთსა და იმის ახლომახლო პირის მოსავალი ნაკლები იყო. მიზეზი ის იყო, რომ სამყოფი თესლი არ შემოუტანიათ გასასყიდად და რაც მოიტანეს, იმის უმეტესი ნაწილი უვარგისი გამოდგა. ასე გასინჯეთ, ერთმა ვაჭბატონმა ბათუმიდან ჩვენს ვაჭრებს სამასზე მეტი კოდოფი თესლი მოუტანა გასასყიდად, რაც ჩვენმა ვაჭრებმა ოთხ-ოთხ მანეთად იმავე დღეს გაჰყიდეს. ამ კოდოფებში გამოსული და

ხელს როგორც თანასწორს... აღტაცებულნი შევყურებდით ბ. ველიჩკოს. ასე შეჰყურებენ დღესაც ზოგიერთები და მას შემდეგაც, რაც მანჯურიაში გადასახლებას დაგვპირდა ქართველებს, მადლობა და სალამი შეუთვალეს ველიჩკოს. როგორც გვითხრეს, დეპეშაც კი გაუგზავნიათ ზოგიერთებს ბ. ველიჩკოსათვის, სადაც უსურვებენ ნაყოფიერის მოღვაწეობის ხანგრძლივობას!..

კმარა ველიჩკოზე. ჩვენი საზოგადოების უმრავლესობამ მაინც შეიგნო მისი ვინაობა და ჯეროვნადაც დააფასა. მაგრამ არიან კიდევ უფრო ძნელად გამოსაცნობი „მეგობრები“.

ჩვენში და საზოგადოთ რუსეთში საყოველთაო ლიბერალური გაზეთის სახელი აქვს მოპოვებული „პეტერბ. ვედ.“-ებს. არა ერთხელ აღუმაღლებია ამ გაზეთს თავისი ხმა სარწმუნოებრივ თავისუფლებისათვის, არა ერთი წერილი დაუსტამბავს თავის ფურცლებზე რუსეთში მცხოვრებ პატარა ერების დამჩაგვრელთა წინააღმდეგ. კერძოთ ყოველს ქართველს ახსოვს ბ. დურნოვოს და სხვების წერილები ჩვენს სასარგებლოდ. ყველაფერი ეს ასეა, მაინც მიუხედავად ამისა ხანდახან სრულიად შეუფერებელი და საკვირველი სტატიები იბეჭდება თ. უხტომსკის გაზეთში. კიშინოვში მომხდარ საზიზღარ ამბების შემდეგ ამ გაზეთმა საყვედური და გაკიცხვა გამოსთქვა ებრაელთა წინააღმდეგ... 12 ივნისის ნომერში კიდევ თვითონ უხტომსკი თავს იმართლებს ველიჩკოს წინააღმდეგ, სრულებით არმენოფილი არ ვარო და თავის შეხედულობის დასამტკიცებლად მოჰყავს შემდეგი ადგილები თავის წინანდელი წერილებიდან: „რუსეთის სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვენ აშკარა და მტკიცე შეხედულობას განაპირა ადგილების შესახებ. შეიძლება, მათ შესახებ აზრი შევცვალოთ ადგილისა და დროის ვითარების მიხედვით, მხოლოდ შეურყეველი უნდა იყოს საკითხი ცენტრის კეთილდღეობის შესახებ, იმ ცენტრისა, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს მტკიცე და გონიერი გარუსების იმპულსი. გარუსებას, უეჭველია, მიზნად არა აქვს სხვა ერთა ფიზიკურ თვისებების შეცვლა, მას შესაძლებლად მიაჩნია, რომ ამ ერებს დროებით შერჩესთ საკუთარი სული, მხოლოდ თხოულობს უფრო მჭიდრო დაახლოვებას და შეთვისებას სხვა და სხვა ერების მიერ ჩვენის წესწყობილების, ჩვენის ისტორიულ ცხოვრების და, დასასრულ, ჩვენის სულიერ არსების უმთავრესი პრინციპებისას. ეს სულიერი არსება ყველაზე უფრო ძლიერ და აშკარად გამოიხატება რუსულს სიტყვაში (ენაში). ვინც შეითვისებს ამ ენას, ვისიც გონება და ოცნება გაჟღენთილი იქნება ამ ენით, ვინც ამ ენის შემწეობით ესწრაფვის ცოდნის შეძენას და პრაქტიკულის მიზნების მიღწევას, იგი პატივისცემის ღირსია და სასურველი მოქალაქე დიდის იმპერიისა“...

მკითხველო,—არის პრინციპიალური განსხვავება სუვორინის, ველიჩკოს და უხტომსკის აზრებს შორის?..

**

იყო დრო, როდესაც დიდს ყურადღებას აქცევდნენ სასულიერო წოდებას, იმედი ჰქონდათ, რომ ქვეყნის სასარგებლოდ გამოიყენებდა ეს წოდება იმ ძალას, რომელიც მინიჭებული ჰქონდა და არ დაივიწყებდა იმ საქმეს, რომლისათვის მოწოდებული იყო.

დღეს კი სრულებით არა ისმის-რა სამღვდელოებაზე, არაფერი იწერება მის შესახებ, თითქოს არც არსებობდეს, არც ვხედავდეთ. რასაკვირველია, სამღვდელოება არსებობს, და კარგადაც არსებობს, აღჭურვილია ისეთის უფლებებით, რომელნიც არ მოეპოვება სხვა წოდებას, პირდაპირი საქმე და კავშირი აქვს ხალხთან, მისი კათედრაა ეკლესია, საიდანაც შეუძლია მართალი სიტყვა გადასცეს თავის მრევლს.

რა უნდა იყოს დღეს სამღვდელოება? რითი შეუძლია ემსახუროს ქვეყანას და მოიპოვოს ხალხის პატივისცემა? რასაკვირველია, არა სხვა-და-სხვა წესების შესრულებით! სამღვდელოება უნდა დადგეს რეალურ ნიადაგზე და პასუხი გასცეს დღევანდელ ცხოვრების მოთხოვნილებათ. სამღვდელოებას უნდა ახსოვდეს, თუ ვისთვის მოვიდა იესო და რა მოუტანა ქვეყანას. იესო უნდა აღიარონ თავის ბატონად და სხვა არავინ! „მოდით ჩემთან, ტვირთმძიმენო და მაშვრალნო!“ ამბობდა იესო და მისნი მოწაფენი, ეხლანდელნი მოძღვარნი სხვას ვერავის ვერ მიმართავენ, თუ არ ტვირთმძიმეთ. ცრემლების მოსაწმენდად, ტვირთის შესამსუბუქებლად, იარების გასაკურნებლად დაიბადა იესო, და განცხრომას, სიმდიდრეს, ძალმომრეობას და დაჩაგვრას ვერ ემსახურება დღევანდელი სამღვდელოება...

არ ვაზვიადებ სამღვდელოებას. ჩემი აზრი ისაა მხოლოდ, რომ დღეს, როდესაც ჩვენის ხალხის უმრავლესობას, სოფლად არა ჰყავს გზის მაჩვენებელი, დამხმარებელი გარდა ერთის მღვდლისა, ამ მღვდლის მართალს სიტყვას შეუძლია გაუადვილოს გლეხს ცხოვრების გაგება, ჩაახედოს იგი დღევანდელს ვითარებაში და ხელი შეუწყოს მის გათვითცნობიერებას. ამასთან, ვიმეორებ, მღვდელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რაც უანდერძა მას იესომ—ძმობის და თანასწორობის გავრცელება, უნდა ახსოვდეს, რომ იგი არ უნდა იყოს მოხელე ძლიერთა ამა ქვეყნისათა, არამედ უნდა იყოს მსახური ხალხისა...

არის მეორე საგანი, რომელიც უნდა შეადგენდეს აგრეთვე სამღვდელოების ცხოვრების შინაარსს. წინად სამღვდელოება ეროვნების ბურჯი-იყო.

ხალხი და ერი, აი, რა უნდა ასულდგმულებდეს სამღვდელოებას, აი, რითი უნდა ხელმძღვანელობდეს იგი თავის ცხოვრებაში, აი, რა უნდა აძლევდეს მის სიმხნევეს ძალას და გამბედაობას!

აი, რა მისცემს აზრს მის არსებობას!..

სიტყვა.

ზოგში დამხრჩვალი ჭიები აღმოჩნდა. მეღვინეებმა შესჩივლეს ბოქაულს და გამომეძიებელსაც, მაგრამ ჩვენს გაჭრებს სრულიადაც არ შერცხვენიათ. განა ასეთების რცხვენიათ აქაურ ჩარჩებს! ძველად პარკობის დრო და, რასაკვირველია, ჩვენმა გაჭრებმაც ჩვეულებისამებრ მომართეს თავიანთი დაყანგებული მატყუარა სასწორი; „უსაქმო“ კაცებმა დადგეს საზოგადო სასწორი, რომლითაც უფასოდ სწონიდნენ გასასყიდ პარკს, რომ დაეცვათ გამყიდველები მოტყუებისაგან, მაგრამ გაჭრებმა სხვა ხერხი იხმარეს: გასასყიდ პარკებიდან არჩევენ ვითომდა უვარგისს რამდენსამე გირვანქა პარკს, დანარჩენს თავისებურად სწონავენ. „დაბრაკულ“ პარკსაც, როგორც უვარგისს, თვითონ იტოვებენ. წელს პარკი იყიდებოდა 15—18 მ, 50 კაპ. გაჭრობაში მონაწილეობას იღებდა „მუსამაგალიც“.

ციებ-ცხელების გასაძლიერებლად აქაური ჭაობი და უსუფთაო მაღაზიებიც საკმაოა. ამიტომ კარგს იზამდნენ ჩვენი ყასბები, რომ საქონელს ქალაქს გარედ დაჰკლავდნენ და არა შიგ ბაზარში. აგრეთვე კარგი იქნება ღორის მოშენებას დუქნებში თავს დაანებებდნენ ზოგიერთი გაჭრები, ღორს აქაურ საყაჭრო მოედანსა და დუქნების წინა ჰკვებავენ და დღესა და ღამესაც იქ ატარებინებენ. სანიტარულ დარგებისათვის იქნება მოწყობილი.

ამას წინად ლანჩხუთის საზოგადოებამ ითხოვა, დაარსდეს ლანჩხუთში სასოფლო-სამკურნალო. სასურველია, რომ ამ სამართლიან თხოვნას ყურადღება მიექცეს. 19 ამ თვეს აქ ჩამოვიდა ახლად დაარსებული სასამართლოს მოსამართლე. სასამართლო მოთავსებული იქნება კერძო სახლში. კურთხევის დღე დანიშნულია 29 ივნისისთვის.

ა. ლოსტი

სასამართლო

გუშინ, 21 ივნისს, სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ოზურგეთის მაზრის მცხოვრებთა მიხეილ ლომაძისა და მოსე მასხულიასი, რომელთაც ყაჩაღობის განზრახვა ჰბრალდებოდათ. 1902 წლის 10 ნოემბერს, საღამოთი, სოფელ ბახვისკენ მიმავალ სამსონ, ილიკო და გლადიმერ ნიკოლაიშვილები, რომელნიც მიწვეულნი ყოფილან იასონ ანდღულაძესთან. ნიკოლაიშვილებს გზაში გაჰყოლიათ მასპინძელი ანდღულაძე. როცა ნიკოლაიშვილები სახლს მიახლოვებიან, შეჰხვედრიათ ორი უცნობი კაცი, რომელთათვისაც ჩვეულებისამებრ სალამი მიუციათ. ამის შემდეგ ერთ უცნობს, რომელიც მიხეილ ლომაძე აღმოჩნდა, უკითხნია ანდღულაძისათვის, რა გვარი ხართ. ანდღულაძეს უპასუხნია. იმავე კითხვით მიუმართავს ლომაძეს სამსონ ნიკოლაიშვილისთვის, მაგრამ იმას სწორი პასუხი არ მიუცია და უთქვამს: „რად გინდა ჩემი გვარი, წადი შენს გზაზედა“. ამ პასუხის შემდეგ, როგორც ზოგიერთ მოწმეთა ჩვენებიდანა სჩანს, მიხეილ ლომაძეს უძგრია ბერდანის თოფი და ამ სიტყვებით: „მოიძრე ნაბადი და ხელი მაღლა აიწიე!“ მიუმიზნებია სამსონ ნიკოლაიშვილისთვის. ეს უკანასკნელი კიდევ მიჰვარდნია, გამოშვერილ თოფის ლულა განზე გაუწევია და ტყვია აუცდენია. ამავე დროს მეორე უცნობსაც აუღია ბერდანის თოფი და მიუმიზნებია სამსონ ნიკოლაიშვილისათვის, მაგრამ ტყვიას მხოლოდ ნაბდის ერთი ადგილი გაუხვრეტია. ამის შემდეგ ბოროტგანმზრახველთ გაქცევა მოუსურვებიათ. მაგრამ ამ დროს ლომაძეს და მეორე უცნობს მისცვივნიან სამსონის ძმები, დაუჭერიათ და იარაღი ჩამოურთმევიათ. იარაღის წართმევის დროს სამსონ ნიკოლაიშვილს ლომაძისთვის ბერდანა ისე ძლიერ დაურტყამს, რომ ტარი გადასტეხია. დაჭერის დროს მასხულიასა და ლომაძეს თავიანთი ვინაობა დაუმალავთ და უთქვამთ, თავართქილაძე და აბულაძე ვართო. როცა პოლიციელნი მისულან, მაშინ გამოუმჟღავნებიათ ვინაობა. ამ ხანებში იმათ რაღაც საქმე შემთხვევიათ და პოლიციას ემალებოდნენ. ამის გამო მასხულია და ლომაძე პასუხის გებაში მიუციათ. ქუთაისის ოლქის სასამართლოს ლომაძესა და მასხულიასთვის გადაუწყვეტია ყოველისავე უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და კატორღაში 8 წლით გაგზავნა. ბრალდებულთ საქმე გაუსაჩივრებიათ პალატაში, სადაც იმათ იცავდა ნაფიც ვექილის თანაშემწე კ. ი. ჯაფარიძე. ვექილმა დიდხანს ილაპარაკა. პალატამ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც დაამტკიცა ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილება.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 ივნისს.

პეკინი. ჩინეთის მთავრობა აცხადებს, რომ ორი ქალაქი ხელ-ახლა ჩამოერთვა მეამბოხეთა. ამათ წინამძღოლისთვის თავი მოუკვეთნიათ.

შანხაი. სამხედრო ჯილდოს ის ნაწილი, რომელიც გუშინ გადაიხადეს, ვერცხლით გაისტუმრეს, ლანის ანგარიშით, რომლის კურსიც 22 ცენტით ნაკლებია ვექსილისაზე.

ბელგრადი. მეფის გუშინდელ სიტყვის საპასუხოდ, სენატის თავმჯდომარემ ველიმიროვიჩმა შეაქო მეფე პეტრე, როგორც მამულიშვილი და მეგობარი პროგრესისა. მომავალი საერო კრება მთელ თავის ზრუნვას მოანდომებს ჯარს, რომელმაც მძიმე და საშიშ დროს დაანახვა ყველას, რომ ხალხის აზრის თანახმად მოქმედებს. ველიმიროვიჩმა მეფის სადღეგრძელო წარმოსთქვა.

ვენა. პოლიტიკურ წრეებში ამბობენ, რომ მინისტრ-პრეზიდენტს კერბერს 20 ივნისს იმპერატორი აუდიენციაზე მიიღებს, ამის შემდეგ მეფე გადასწყვეტს საქმესაო.

კიევი. ტერეშჩენკოს ქვრივმა 10,000 მ. შესწირა წერა-კითხვის საზოგადოებას სახალხო სახლის დასამთავრებლად.

სევასტოპოლი. ტუბერკულეზის წინააღმდეგ მებრძოლ საზოგადოების გამგეობასთან გაიმართა ბიურო, რომელმაც მსურველთ ცნობები უნდა მიაწოდოს რუსეთის და საზღვარ-გარეთის დაწესებულებებისა და კერძო პანსიონების შესახებ ყირიმში. ცნობის მისაღები ფასი—ერთი მანეთი—გადაიდება იმ საავადმყოფოსათვის, რომელსაც საზოგადოება აარსებს.

ეკატერინოდარი. გორიაინოვის სადგურზე ერთმანეთს დაეტაკნენ საქონლის მატარებლები. დაშავდა კონდუქტორი, დაზიანდა 14 ვაგონი. პერეეზდნოის სადგურზე გაჰქურდეს საქონლის კასსა და წაიღეს 4,000 მანეთი.

მინსკი. მინსკის მკურნალთა საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა. თხოულობს, ნება მიეცეს გამართოს კრება მინსკის გუბერნიის მკურნალთა.

ტუკუმი. 18 ივნისის კრებაზე საბჭოს ხმოსნებად აარჩიეს ლატიშთა დასის კანდიდატები. ეს მეორედ არის ქალაქის საბჭო ლატიშების ხელში.

დონის როსტოვი. ჰფიქრობენ, აქ მთელი რაზმი დააყენონ. როდესაც ეს საქმე გადაწყდება, ქალაქი დიდ ყაზარმებს აუშენებს ოთხ ბატალიონისთვის.

21 ივნისს.

პეტერბურგი. „რუს. ინვალ.“-ში დაბეჭდილია: „მათ უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის და ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის თანადასწრებით მოხდა დოლი სამხედრო სადოლო საზოგადოებისა, რომელიც ულანთა პოლკთან არის დაარსებული“.

ბერლინი. „პოსტ“-ი აღნიშნავს, მართალი არ არის „ტაიმს“-ის ცნობა, ვითომც დელკასეს უარი ეთქვას გერმანიის რჩევაზედ, ბაღდადის რკინის გზის გაყვანისათვის საჭირო ხარჯი იმ სახელმწიფოებმა გაინაწილოთ, რომლებიც ამ საქმეში დაინტერესებულნი არიანო. უფრო მართალია, რომ გერმანია არ დასთანხმდა საფრანგეთის უკანასკნელ წინადადებებს. მოლაპარაკების შედეგი ჯერ არ გამორკვეულა. გერმანიას უნდა თავისი წინანდელი მოთხოვნა გაიყვანოს.

ლონდონი. საადმირალოს ლორდს პრეიმანს შეაქვს რეზოლიუცია, რომ დათმობილ იქმნას 8 მილიონი გირვ. სტერ. ზღვის გემთსაშენებლის საჭიროებისათვის. რეზოლიუცია მიიღეს.

კონსტანტინოპოლი. პორტა ატყობინებს რუსეთის და ავსტრ ჰუნგრეთის ელჩებს, უკანასკნელი განზრახვა დინამიტით აფეთქებისა დემირ ბეილის რკინის გზაზედ ანარხისტების საქმეაო.

— ბოლგარია ისე უყურებს რაზმების საზღვარს გადასვლას და კომიტეტების მოქმედებას, რომ მან პასუხი უნდა აგოს მკვიდრთა და უცხო ტომთა საშიშ მდგომარეობისათვის.

სოფია. მთავრობის განკარგულებამ, რომლის ძალითაც გაუქმებულია რამდენიმე მუხლი მოხელეთა შესახებ კანონისა, გამოიწვია რიხიანი მოწინავე წერილები, რომლებიც მთავრობას სძრახავენ კონსტიტუციის დარღვევას და სახელმწიფო წყობილების შეცვლას.

— გუშინ და დღეს შეიკრიბნენ ყველა მოთავეები საერო კრების ოპპოზიციონურ პარტიებისა და დაადგინეს: ყველა დეპუტატები მოაწერენ ხელს ხალხისადმი მიმართულს მანიფესტს, რომელშიაც აღნიშნავენ, რა დიდი შიში მოელის ხალხს ამ კანონის გაუქმებით.

მთავრობის წრეებში მაინც იმ აზრისანი არიან, ოსმალეთთან ომის დაწყება შეუძლებელიაო.

პეტერბურგის ბირჟა 20 ივნისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.	93,85
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,50
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	37,60
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	98⅝ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	100¾ მყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	95⅛ „
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	436 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	337 „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	286 „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა.	—
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	—

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9) ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერივანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ.); 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 08 წ. (2 [illegible] წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბათ.-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

შორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 28 ივნისისთვის, ნაშუადღევის პირველ საათზე, გამგეობისავე თანადასწრებით, დანიშნულია **ხაჯარო ვაჭრობა**. უნდა გაიცეს ქალაქის ერთი ბუდკა, მეხუთე ნაწილში, პუშკინის ქუჩაზე. მსურველთ პირობანი შეუძლიანთ გასინჯონ გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9-დან ნაშუადღევის 2 საათამდე. ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, უნდა წარადგინოს ბეი 50 მანეთი. განცხადების წარდგენა დაბეჭდილ კონვერტითაც შეიძლება. (2—6.—1)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მისი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებს სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—92)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»
კიოსკში,
ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაზანასი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი.	—	20
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ.	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუისა—საბა სულხან ორბელიანისა.	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა.	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
ალა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება ბოთლებში. გ. პეტრიაშვილის.	1	50

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ეგევე წიგნები იყიდება **ქუთაისში**, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტფილისში

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ).

ტელეფონი № 741

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი მზა წამლები (პატენტ-მიღებული), საღოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთიერება, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ქირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბორატორიისთვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაულო, თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელი საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და-სხვა.

ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ. 100—39.

Дозв. ценз. Тифлисъ, 21 Іюня, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)